პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 239 (3723)

8 დეკემბერი, კვირა. 1968 წ.

ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

ჭერჭერობით მეორენი

ბუქარესტი, 6 დეკემბერი. სოცი-ალისტური ქვეყნების „დინამოელ" ფრენბურთელთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში მოსკოველმა ვაჟებმა დღეს დაამარცხეს თავიანთი სოფიელი თანაკლუბელები — 3:0 (15:8, 15:9, 15:13). 3 ტურის შემდეგ როგორც ქალთა, ისე ვაჟთა გუნდებში ლიდერობას ადგილობრივი დინამოელები ინარჩუნებენ. საბჭოთა გუნდები II ადგილზე არიან.

10 საუკეთესო

გაზეთ „ლელოს" საახალწლო კონკურსი

წლევანდელი წელიწადი დიდი სპორტული მოვლენებით იყო მდიდარი. მათგან ყველაზე მთავარი, რა თქმა უნდა, მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშები გახლდათ. ჩატარდა, აგრეთვე, მსოფლიოს, ევროპისა და საკავშირო ჩემპიონატები. ამ შეჯიბრებებში წარმატებით ასპარეზობდა ჩვენი რესპუბლიკის ბევრი სპორტსმენი. და აი, გაზეთ „ლელოს" რედაქცია აცხადებს ტრადიციულ საახალწლო კონკურსს — „საქართველოს 10 საუკეთესო სპორტსმენი".

„ლელოს" მკითხველებს, ქართული სპორტის სპეციალისტებსა და მოყვარულთ ვთხოვთ გაგვიზიარონ თავიანთი მოსაზრებანი — დაასახელონ წლევანდელი სპორტული სეზონის 10 საუკეთესო სპორტსმენი, რომლებიც საკონკურსო ბარათებში ჩამოთვლილი უნდა იყვნენ თანმიმდევრულად, სიძლიერის მიხედვით.

წერილების გამოგზავნის ბოლო ვადაა 25 დეკემბერი (საფოსტო შტემპელით). კონვერტს უნდა ჰქონდეს წარწერა: „კონკურსისთვის".

ჩვენი მისამართია: თბილისი-8. ლენინის ქ. № 14, „ლელოს" რედაქცია.



ბურთი...

თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო ხელბურთელ ვაჟთა III საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას" გარდამავალ პრიზზე. I ტურის შეხვედრათა შედეგები ასეთია: უნგრეთი — პოლონეთი 20:23 (9:9), სსრ კავშირი — გდრ 33:23 (16:11), საქართველო — ბულგარეთი 22:16 (12:7).

* * *

სურათზე: პოლონელ და უნგრელ ხელბურთელთა შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

სპორტული ფილმების II საკავშირო კონკურსი თბილისში

მოსკოვი, 4 დეკემბერი (საქდესის კორ.). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კინემატოგრაფიის კომიტეტში გაიმართა პრეს-კონფერენცია საბჭოთა ჟურნალისტებისთვის, რომელიც მიეძღვნა სპორტული ფილმების II საკავშირო ფესტივალს. ეს ფესტივალი თბილისში გაიმართება 15-19 დეკემბერს.

პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე. მან თქვა, რომ II საკავშირო ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირის 30 კინოსტუდია. ისინი განსჯაზე ჩამოიტანენ სპორტულ თემაზე გადაღებულ 55 მხატვრულ, მეცნიერულ-პოპულარულ, დოკუმენტურ და სასწავლო ფილმს. ფესტივალის პირველ დღეს თბილისელი მაყურებლები ნახავენ გორკის სახელობის ცენტრალური სტუდიის მხატვრულ ფილმს „ახალბედას" და კინოფილმს „სპორტსმენებს", რომელიც საქართველოს მეცნიერულ-პოპულარული და ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების სტუდიამ შექმნა.

საუკეთესო ფილმებს მიენიჭებათ პრიზები და პრემიები. გარდა ამისა, ფესტივალის ჟიური აღნიშნავს საუკეთესო რეჟისორებს, ოპერატორებს, სცენარისტებს, დიპლომებით დააჯილდოვებს მუსიკალური გაფორმების, დიქტორის ტექსტის ავტორებს.

გამარჯვებულთათვის ფესტივალის 10 პრიზი დაადგინეს ცენტრალურმა ჟურნალ-გაზეთებმა, შემოქმედებითმა კავშირებმა. მათ შორისაა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პრიზიც.

პრეს-კონფერენციას დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. გოლოვნია, ფესტივალის დირექტორი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე შ. სალარიძე და სხვ.

სპორტული ფილმების მომავალმა II საკავშირო ფესტივალმა მოსკოველ ჟურნალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

გემბანზეა 72 ავტომობილი

ბომბეი, 5 დეკემბერი. 72 — ასეთია საბოლოო რიცხვი ავტომობილებისა, რომელთა ეკიპაჟებმა უფლება მოიპოვეს, აქედან ავსტრალიის ნავსადგურ ფრიმანტლში გაცურონ და მონაწილეობა მიიღონ გიგანტური რალის ლონდონი — სიდნეის დასკვნით ეტაპში. ამ საინტერესო და უაღრესად ძნელი შეჯიბრების ბოლო ეტაპი ქალაქ პერტში დაიწყება.

მათ შორის, ვინც ბომბეიში ბოლო მომენტში ჩამოვიდა და ლაინერი „ჩუსანის" გემბანზე ჰპოვა ბინა, იყო ირლანდიელ ქალთა — რ. სმითისა და ლ. პონტეტის ეკიპაჟი. მათი „ფორდ ლოტუს კორტინა" გზაში გაფუჭდა და მრბოლელები იძულებული იყვნენ ინდოეთის ამ ქალაქიდან სათადარიგო ნაწილები მოეთხოვათ. ეს ნაწილები მათ თვითმფრინავით მიიღეს და ირლანდიელებმა შეძლეს დანარჩენ იღბლიანებს დასწეოდნენ.

ინგლისის დედაქალაქში, როგორც ცნობილია, სტარტი აიღო 98 ეკიპაჟმა. და ახლა დარჩენილ 72 მანქანას (მათ შორის, ოთხ საბჭოთა „მოსკვიჩს") ათადღიანი ცურვა მოელის ავსტრალიამდე.

სხვადასხვა ქვეყნები

ვარშავა, 5 დეკემბერი. სამმა ვარშაველმა — ბრონისლავ სიადეკმა, ტადეუშ ანდრუსევიჩმა და იანუშ ვოლკოვსკიმ გადაწყვიტეს სამი დასაშლელი რეზინის ბაიდარით („ნეპტუნის" ტიპის) წყნარი ოკეანიდან მაგელანის სრუტის გავლით ატლანტის ოკეანეში გაცურონ. მარშრუტის სიგრძე დაახლოებით 850 კილომეტრია. მამაცი ნიჩბოსნები ამ მანძილის დაძლევას ექვს კვირაში აპირებენ.

ბერლინი, 6 დეკემბერი. სახელგანთქმული გერმანელი მოჭადრაკის ე. ლასკერის მემორიალის ბოლოსწინა ტურში დაწინაურდა საბჭოთა დიდოსტატი დ. ბრონშტეინი, რომელსაც 10 ქულა აქვს 14-დან. ლ. ცინთან (გდრ) გადადებული პარტიის ორჯერ გაგრძელების შემდეგ მან მე-100 სვლაზე გამარჯვებას მიაღწია. დიდოსტატმა ვ. ულმანმა (გდრ), რომელიც დიდხანს ლიდერობდა, XIV ტურში მარცხი იწვნია და ახლა ბრონშტეინს ნახევარი ქულით ჩამორჩება. საბჭოთა დიდოსტატებმა ე. ვასიუკოვმა და ა. სუეტინმა 9-9 ქულა მოაგროვეს, უნგრელ ლ. ბარცაის კი 8,5 ქულა აქვს. ბოლო, XV ტურში ბრონშტეინი თეთრებით ეთამაშება გდრ-ის წარმომადგენელს ბ. მალიჰს, ხოლო ულმანი — კუბელ რ. ორტეგას.

კიევი, 6 დეკემბერი. ასუჯრიან შაშში საკავშირო ჩემპიონატში 13 ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერია მინსკელი განტვარგი — 8 ქულა. რიგელ ანდრეიკოსა და ტაშკენტელ დაეიდოვს 7,5-7,5 ქულა აქვთ, ხოლო აგაფონოვსა და შჩოგოლევს (ორივე — მოსკოვი)—7-7.

კატოვიცე, 6 დეკემბერი. სილეზიაში სტუმრად მყოფმა დონეცკის ოლქის მოკრივეთა გუნდმა სილეზიის ქვანახშირის აუზის მემაღაროელთა კლუბების ნაკრები დაამარცხა — 7:4.

ლონდონი, 6 დეკემბერი. გრენობლის თეთრი ოლიმპიადის მონაწილემ, 20 წლის სტუდენტმა პატრიცია დოდმა ფიგურულ ციგურაობაში დიდი ბრიტანეთის ღია ჩემპიონატში აჯობა ყველას. იგი საუკეთესო იყო როგორც სავალდებულო, ისე ნებისმიერ პროგრამაში. მას ისე სწყუროდა ამ ტიტულის მოპოვება (ადრე იგი უკვე სამჯერ იბრძოდა საამისოდ), რომ მშობლებს უარი უთხრა აფრიკაში საცხოვრებლად მათთან ერთად გადასვლაზე.

მეხიკო, 6 დეკემბერი. მექსიკის მრავალდღიან ველორბოლაში 11 ეტაპის შემდეგ ლიდერის ყვითელ მაისურს კვლავ ინარჩუნებს ომსკელი ვ. სოკოლოვი, რომელიც თავის უახლოეს მეტოქეს, მექსიკელ ხ. სარაბიას 4 წუთსა და 19 წამს უგებს. გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა კოლექტივმა II ადგილზე გადაინაცვლა.

როგორც ჩემპიონებს ეკადრებათ

მოსკოვი, 6 დეკემბერი. გუშინწინ ლუჟნიკის სპორტის სასახლეში დამთავრდა მოსკოვის II საერთაშორისო ტურნირი ჰოკეიში. ამ დღეს გაიმართა ბოლო ორი შეხვედრა: ყინულზე ჯერ გამოვიდნენ სსრ კავშირის II ნაკრებისა და ფინეთის ჰოკეისტები. დაძაბული და საინტერესო ბრძოლა ფრედ დამთავრდა — 2:2. შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის I ნაკრებისა და კანადის ჰოკეისტები. მსოფლიო ჩემპიონთა უპირატესობა აშკარა იყო — მასპინძლებმა დიდი ანგარიშით (6:0) დაამარცხეს მეტოქე.

ამრიგად, მოსკოვის II ტრადიციულ ტურნირში ყველას აჯობა სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა. II ადგილი დაიკავა საბჭოთა ქვეყნის ჰოკეისტთა მეორე ნაკრებმა, ხოლო III — ფინელი ჰოკეისტების უაღრესად პერსპექტულმა და მზარდმა კოლექტივმა. კანადელები ბოლო ადგილზე დარჩნენ.

დღეს ნომერში:

თბილისელ კალათბურთელთა რევანში — მე-2 გვ.

6 : 0 — მე-3 გვ.

ლაპარაკობს ე. მელერი — მე-4 გვ.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

მასპინძლები ყველაფერი დაჭაბნეს

. თბილისი. სპორტის სასახლე. 6 დეკემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 62:82 (30:43).

„დინამო“: მოსეშვილი (16), სხიერელი (13), მაღალაშვილი (8), ქორქია (8), ქარაბაკი (6), უგრეხელიძე (4), საკანდელიძე (3), ლეჟავა (2), ნარიმანიძე (2), ჩიხლაძე, ფიცხელაური.

„სპარტაკი“: ბიკოვი (30), ივანოვი (17), ბელოვი (13), ბოლშაკოვი (11), გრიგორაშენკო (2), სკვორცოვი (2).

მსაჯები: ა. კოკარევი (მოსკოვი) და დ. დავთიანი (ერევანი).

ბასულ ჩემპიონატში „დინამომ“ ოთხიდან სამი შეხვედრა მოუგო „სპარტაკს“. მაგრამ თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ პირველი მატჩი ჩვენებმა წააგეს, ხოლო დანარჩენი სამი დაძაბულ ბრძოლაში მინიმალური ანგარიშით მოიგეს, ცხადი გახდება, რომ გუშინწინ იოლ გამარჯვებაზე ფიქრი მასპინძლებს არ შეეძლოთ. მართლაც, მატჩის პირველივე წუთებმა გვიჩვენა, რომ სტუმრები ერთობ აგრესიულად იყვნენ განწყობილი. 10 წუთი ისე გავიდა, რომ ვერც ერთმა გუნდმა ანგარიშში საგრძნობლად დაწინაურება ვერ შეძლო. მერე კი...

ლენინგრადელებს ამ დღეს ყველაფერი გამოსდიოდათ: პირველ ყოვლისა კი ახლო და საშუალო მანძილებიდან ტყორცნა. ფარიდან ასხლეტილ ბურთსაც, როგორც წესი, ისინი ეუფლებოდნენ. მასპინძლები ძალიან უსუსურად გამოიყურებოდნენ — ნერვიულობდნენ და ამიტომაც უხეშ შეცდომებს უშვებდნენ როგორც თავდასხმაში, ისე დაცვაში.

მეორე ტაიმში იყო მომენტი, როცა თბილისელებმა პრესინგს მიმართეს და თითქოს გარდატეხასაც მიაღწიეს, მაგრამ ეს მორჩენებითი გამოდგა. ლენინგრადელებმა როგორც კი იყნოსეს მოახლოვებული საფრთხე, გაზარდეს ტემპი და ერთბაშად დაიბრუნეს ინიციატივა. განსაკუთრებულ ქებას იმსახურებს სტუმრების თავდამსხმელი ბიკოვი, რომელმაც გუნდს 30 ქულა შესძინა.

ა. ცეხანელი.

* * *

სურათზე: შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ჯუჯნ...

თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „სპარტაკის“ მატჩში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 84:57 (40:22).

სხვა შეხვედრები

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები. *ცსკა — ასკ (რიგა) 70:64.* მოსკოვის არმიელთა შემადგენლობაში მეხიკოს ოლიმპიადის 6 მონაწილე თამაშობს, ამათგან, 5 მსოფლიო ჩემპიონია. ამ კალათბურთელთა გვარების ჩამოთვლაც საკმარისია, რომ დარწმუნდე გუნდის სიძლიერეში. მართლაც, ვოლნოვი, ლიპსო, სელიხოვი, ანდრეევი, კაპრანოვი და სვერდლოვსკის „ურალმაშიდან“ ახლახან მობილიზებული ბელოვი ატესტაციას არ საჭიროებენ.

და მაინც, არმიელებს უჭირთ. გარდა იმისა, რომ ყოველი გუნდი მათ წინააღმდეგ გაათკეცებული მონდომებით თამაშობს, თვით არმიელებს ჯერჯერობით განსაკუთრებული მოწადინება არ ეტყობათ: სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი მოქმედებს დუნედ და უფერულად. გუნდი თითქოს ვალს იხდის კალენდრისა და მაყურებლის წინაშე.

გუშინწინ ცსკა-მ ერთხელ კიდევ „მოიხადა ვალი“ — ამჯერად, რიგის თანაკლუბელებს შეხვდა. მოსკოველებმა სატურნირო ცხრილში კვლავ ქულა წაიწერეს, თუმცა ისინი ამჯერადაც ახლოს იდგნენ უსიამოვნო ფინიშთან. როგორც ჩანს, პირველხარისხოვან სპორტსმენთა თანავარსკვლავეული ჯერ კიდევ არ ნიშნავს გუნდს, ანსამბლს.

„ჟალგირისი“ (კაუნასი) — „დინამო“ (მოსკოვი) 74:64. ჩემპიონატის წინ მეორე ეშელონის გუნდების ტურნირში გამარჯვებულ მოსკოვის „დინამოზე“ დიდ იმედებს ამყარებდნენ. მან ბრწყინვალედ ჩაატარა რამდენიმე სპარინგ-მატჩი ცსკა-სთან და დებიუტანტიც ერთბაშად ფავორიტებში ჩარიცხეს.

„დინამოს“ მართლაც ძლიერი შემადგენლობა ჰყავს: პერსპექტიული ახალგაზრდობა, სკამაოდ გამოცდილი ვეტერანები და პეტროვი. ახლა პეტროვს შტარში ამოუდგა მეორე გიგანტი, ვოლგოგრადელი ნიკიტინი (210 სმ). „დინამოს“ ტანდემი დიდი ძალა იქნება ახლო მომავალში. ჯერჯერობით კი გიგანტები, როგორც ჩანს, ხელს უშლიან ერთმანეთს. ასეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა „ჟალგირისთან“ პირველი მატჩის წაგების შემდეგ.

„კალევი“ (ტარტუ) — „სტროიტელი“ (კიევი) 64:78. ამ ეტაპზე უკრაინის კალათბურთელთა ყოველი გამარჯვება ორმაგად ფასობს, ვინაიდან გუნდი ჯერჯერობით სტუმრად ატარებს მატჩებს (შინ „სტროიტელი“ იშვიათად მარცხდება). ცხადია, იგი წლეულსაც შეეცდება ტრადიციის შენარჩუნებას, მით უმეტეს, გუნდი კვლავ დაუბრუნდა თავის ნაცად ტაქტიკას — ზონურ პრესინგს.

ვეფ (რიგა) — „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა) 82:65. მოსკოვის „დინამოსგან“ განსხვავებით, რკინიგზელებმა უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის უფლება შარშანდელ აუტსაიდერებთან — ბაქოს „ბურევესტნიკთან“ და სვერდლოვსკის „ურალმაშთან“ ორრაუნდიანი ბრძოლის შემდეგ მოიპოვეს. ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, რას მიაღწევს დებიუტანტი. ერთი კი ცხადია: „ლოკომოტივს“ „ა“ კლასში იოლი ცხოვრება არ ელის, მით უმეტეს, ყველა გუნდს მასთან ალბათ 4 ან, სულ ცოტა, 3 ქულა აქვს დაგეგმილი. ჯერჯერობით ალმაათელები ქულებს არიგებენ, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩემპიონატი მათ გასვლითი მატჩებით დაიწყეს. 13 დეკემბერს ისინი შინ მიიღებენ პირველ მეტოქეს (ცსკა-ს). აი, მაშინ გახდება ცხადი, შეეგუა თუ არა გუნდი მისთვის განკუთვნილ როლს.

ХГУФЕБИ УКЛИЕРЕСНИ

ცხაკაიაში დამთავრდა ტყვიის მსროლელთა რაიონული პირველობა. პროგრამაში იყო შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში. მონაწილენი სიძლიერის მიხედვით ჯგუფებად დაიყვნენ.

I ჯგუფში გაიმარჯვა ხალიჩების კომბინატის ნაკრებმა, რომელმაც 500-დან 449 ქულა მოაგროვა. II ჯგუფში უძლიერესი იყო ქალაქის საბჭოს კოლექტივი; III ჯგუფში იმარჯვა საქენერგოს ნაკრებმა.

კოლმეურნეობათა გუნდებს შორის ყველას აჯობა ფოცხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის კოლექტივმა, ხოლო საბჭოთა მეურნეობებიდან საუკეთესო იყო ახალსენაკის დაფნის საბჭოთა მეურნეობის მსროლელთა გუნდი.

ე. გუგუნავა.
(ჩვენი კორ.).

ცხაკაია.

ლიდერთა ცვლა

ქალი ჟურნალისტის ნაბეჭდი

საბჭოთა კავშირში 1968 წლის საჩოგბურთო სეზონი თბილისის კორტებზე გამართული ქვეყნის ჩემპიონატით დამთავრდა. ამ შეჯიბრებამ ორმაგი წარმატება მოუტანა ესტონეთის სპორტსმენებს, რომელთაც მოიგეს მთავარი პრიზები ერთეულთა შეჯიბრებაში.

პროგნოზების საწინააღმდეგოდ, მზიური საქართველოს დედაქალაქი სპორტსმენებს ამჯერად ცივი, ქარიანი ამინდითა და ნესტიანი კორტებით შეხვდა. არ გამართლდა ქვეყნის ჩემპიონთა საკარაუდო კანდიდატურებიც. ვერც გალინა ბაკშეევამ და ვერც ალექსანდრე მეტრეველმა, რომლებიც ბოლო ორი წლის მანძილზე გამარჯვებას არ თმობდნენ, ვერ შეინარჩუნეს უმაღლესი ტიტული. ეს იყო სასპარეზობის მთავარი სიურპრიზი.

არადა, ტურნირის მსვლელობის დროს ქარიშხალს არაფერი მიგვანიშნებდა. გათამაშების დასკვნით ეტაპზე საპრიზო ადგილებზე იყვნენ „ნაცნობები“ — ბაკშეევა, მეტრეველი, ლეიუსი, ლიხაჩოვი, ეკოროვი და სხვ. „განა ღირდა ასალი პირველობის ჩატარება?“ — იხუმრა ერთ-ერთმა მაყურებელმა.

მართლაც, გადამწყვეტი მატჩისკენ მიმავალ გზაზე ა. მეტრეველს თავის ძველ მეგობართან და მეტოქესთან თ. ლეიუსთან ერთად არც ერთი პარტია არ წაუგია. წინადღით მეტოქეებმა წყვილთა შეჯიბრების ფინალში ძალთა თითქოს წინასწარი შემოწმება ჩაატარეს. მეტრეველმა და ლიხაჩოვმა საკმაოდ დამაჯერებლად მოუგეს ლეიუსსა და ვ. ეკოროვს. მაგრამ დღეს თბილისის „დინამოს“ საჩოგბურთო სტადიონის ცენტრალური კორტის ტრიბუნები სავსე იყო. მაყურებლებს სურდათ თავისი თვალით ენახათ თანამემამულის ახალი გამარჯვება და უაღრესად განცვიფრებული დარჩნენ მეტრეველის დამარცხებით.

თუმცა, სენსაცია მოსალოდნელი გახდა ცოტა უფრო ადრე, როცა ქალთა დასკვნით ორთაბრძოლაში ტიიუ კივიმ ბაკშეევასთან პირველი პარტია წააგო, მეორეში გაიმარჯვა და ჩემპიონთან შანსები გაათანაბრა. ვფიქრობთ, ბაკშეევას მშვენიერად ახსოვდა 1965 წლის ხარკოვის საკავშირო პირველობის ფინალი, როცა კორტზე ფავორიტად გამოვიდა და ყველასთვის მოულოდნელად წააგო ნაკლებად ცნობილ ესტონელ ჩოგბურთელთან ტიიუ სოომესთან. და აი, მის გზაზე კვლავ „ესტონური ზღუდე“ აღიმართა. ეს ზღუდე ბაკშეევამ ვერც ამჯერად გადალახა.

ბაკშეევამ ვერ შეასრულა მთავარი ამოცანა — ვერ შეავიწროვა მეტოქე იერიშის სიმძლავრით. რბილი ნიადაგი ბურთის ატყორცნას ანელებდა. თამაშის დაბალი ტემპი ხელსაყრელი აღმოჩნდა კივისთვის, რომელიც უკანა ხაზიდან „სროლაში“ არც ერთ საბჭოთა ჩოგბურთელ ქალს არ ჩამოუვარდება. როცა საქმე გადამწყვეტ პარტიამდე მივიდა, ცხადი გახდა, რომ ჩემპიონს ძნელი ბრძოლა ელოდა. აქ მას უნდა ეჩვენებინა არა მხოლოდ ტექნიკური და ტაქტიკური, არამედ, პირველ ყოვლისა, ფიზიკური უპირატესობაც შეუპოვარ და მოძრავ ესტონელ ჩოგბურთელთან. მაგრამ ბაკშეევა ამ ამოცანას ვერ გაუმკლავდა. უბრალოდ, ძალა არ ეყო. მატჩის ბოლოს მან მხოლოდ რამდენიმე მატჩ-ბოლის მოგება შეძლო, როცა ანგარიში 0:5 იყო.

სსრ კავშირის ჩემპიონი პირველად გახდა ტალინის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, 25 წლის ტ. კივი. მან გაიმეორა თავისი მეგობრისა და პარტნიორის ტ. სოომე-სიმსონის მიღწევა, რომელსაც 3 წლის ისტორია აქვს.

ტალინის დინამოელის წარმატება მოულოდნელია, მაგრამ შემთხვევითი არ არის. კივი 1962 წლიდან მედის სსრ კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეულში. 1965 წელს კივი ქვეყნის მესამე ჩოგნად აღიარეს, ჩოგბურთს იგი 12 წლიდან თამამობს, ვიდრე დიდ სარბიელზე გამოვიდოდა, იყო ტალინის მოსწავლეთა შეჯიბრებების პრიზიორი სათხილამურო სპორტში, მძლეოსნურ ჭრაში, კალათბურთში. კივი ცსობილი „საჩოგბურთო“ გვარია არა მარტო ესტონეთში. ჩემპიონის უფროსი ძმებიც ჩოგბურთელები არიან. ამასთან, ლეო კივის მრავალგზის მოუპოვებია გამარჯვება რესპუბლიკის პირველობებში და საკავშირო ჩემპიონატებში. მან თავისი უმცროსი და ჩოგბურთის კორტზე მიიყვანა და წლების განმავლობაში წვრთნიდა. გასულ სეზონში ტიიუ კივი ჩვეულებრივზე ნაკლებს ვარჯიშობდა — ინსტიტუტს ამთავრებდა. ივლისში მან ფიზაღზრდის მასწავლებლის დიპლომი მიიღო, სექტემბერში „დინამოს“ პირველობის ფინალში დაამარცხა ო. მოროზოვა, ნოემბრის დამლევს კი ჩინებულად ჩაბარა გამოცდა უმაღლესი სპორტული სიმწიფის ატესტატზე.

თანამემამულის გამარჯვება დიდებული „დოპინგი“ გამოდგა ლეიუსისთვის მეტრეველთან მატჩის (ეს უკვე მერამდენე მატჩის) წინ. ბოლო წლებში ბევრს ეგონა, რომ უკვე ვერავინ გაუწევდა სერიოზულ მეტოქეობას ჩვენს № 1 ჩოგანს, რომელიც ბრწყინვალედ გამოდის საერთაშორისო სარბიელზე და უიმბლდონის წლევანდელ ტურნირში მსოფლიოს 16 უძლიერეს ჩოგბურთელს შორის მოხვდა. თბილისელმა მართლაც დაამტკიცა, რომ უმაღლესი კლასის ოსტატია, მაგრამ როგორც კი პოზიცია შეასუსტა (ტრავმის გამო), ექს-ჩემპიონმა ისარგებლა ამით. ლეიუსი დროს არ კარგავდა. აგვისტოში მან გაიმარჯვა მოსკოვის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში, მერე კი „დინამოს“ ჩემპიონი გახდა. ოთხი თვის მანძილზე მას არც ერთი ტურნირი არ წაუგია, ბოლოს კი სეზონის მთავარი მატჩი მოუგო მეტრეველს „საკუთარ მინდორზე“, როცა მეტოქეს სამ პარტიაში სულ 5 გეიმი მისცა.

27 წლის ტალინელმა სტუდენტმა შეასრულა ყველაზე ძნელი ამოცანა — დაიბრუნა უძლიერესის დაკარგული ტიტული.

ლეიუსმა ბაკშეევასთან ერთად მოიგო შერეულ წყვილთა ტურნირიც. მათ დაამარცხეს უიმბლდონის ტურნირის ფინალისტები ო. მოროზოვა და ა. მეტრეველი.

თბილისის ტურნირმა პირველი ოქროს მედალი მოუტანა 20 წლის მოსკოველ სპორტსმენს მ. ჩუვირინასაც. მან ბაკშეევასთან ერთად გაიმარჯვა ქალთა წყვილების შეჯიბრებაში. მარინა აგრძელებს დედამისის, სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონის ე. ჩუვირინას ტრადიციებს.

თბილისის საკავშირო პირველობამ ახალი ჩემპიონები დაასახელა, მაგრამ ძალთა წლობით დადგენილ განაწილებაში რაიმე სერიოზული ცვლილებები არ შეუტანია. ჩუვირინას გარდა, ახალგაზრდებიდან უნდა აღვნიშნოთ 20 წლის სპარტაკელი რაუზა ისლანოვა, რომელმაც ქალთა ერთეულების ტურნირში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. მოროზოვამ, რომელიც ბაკშეევას მთავარ მეტოქედ მიაჩნდათ, მხოლოდ V ადგილი დაიკავა — მეოთხედფინალში წააგო ისლანოვასთან.

ჩემპიონატში მონაწილეობა არ მიუღია ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილ ოსტატებს ვ. კოროტკოვს, ა. ვოლკოვს, თ. კაკულიას და ზ. იანსონეს. იმ დღეებში ისინი მექსიკის საერთაშორისო ტურნირში გამოდიოდნენ.

ა. ნოვიკოვი.

* * *

სურათზე: თ. ლეიუსი (წინ) და ა. მეტრეველი სასპარეზოდ მიეშურებიან.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

✦ წულუკიძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის ინიციატივით ადგილობრივი სპორტსკოლის დარბაზში გაიმართა შეჯიბრება ფრენბურთში. ასპარეზობაში მონაწილეობდა რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა 26 გუნდი. ფრენბურთელები ასაკობრივ ჯგუფებად იყვნენ დაყოფილნი. გოგონებში პირველობა მოიპოვეს ყვარლისა (8-წლიან სკოლებში) და ბროწეულას (საშუალო სკოლებში) სკოლა-ინტერნატების წარმომადგენლებმა. ჭაბუკებში შესაბამისად პირველნი იყვნენ ლენტეხისა და წულუკიძის ფრენბურთელები.

ბ. ჯაფარიძე.

გზები და პერსპექტივები

გ. სიხარულიძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოსთან არსებული
ფიზკულტურისა და სპორტის
კომიტეტის თავმჯდომარე

•

სპორტის ყველა სხვა სახეობიდან ფეხბურთი ხანგრძლივი და დაძაბული კალენდრით გამოირჩევა. ფეხბურთელი ხანგრძლივადაა მოშორებული ოჯახს, სწავლას, იძულებულია დაიცვას მკაცრი რეჟიმი. ამიტომ უძნელდება ფეხბურთელს სწავლასა და სპორტში აქტიური მეცადინეობის დაკავშირება. რამდენადმე ესეც ახდენს გავლენას, რომ ფეხბურთის მწვრთნელთა შორის უფრო ნაკლებად არიან ფართო დიაპაზონისა და ცოდნის მქონენი, ვიდრე, ვთქვათ, მძლეოსნობაში, ტანვარჯიშსა და ზოგიერთ სხვა სახეობაში. აქ უფრო ხშირად შეხვდებით მეცნიერებათა კანდიდატებს, დოქტორებს, რომლებიც ადრე მაღალი კლასის სპორტსმენები იყვნენ.

საჭიროა უმოკლეს ხანში მოეწყოს სპეციალური სემინარ-კურსები ოსტატთა კოლექტივების მწვრთნელებისთვის ისე, რომ იქ საკმაო რაოდენობით მიიწვიონ სპეციალისტები რესპუბლიკებიდანაც. ეს კურსები არ უნდა წარმოადგენდეს ერთჯერადი ხასიათის ღონისძიებას, პირიქით, მათ სისტემატურად უნდა იმუშაონ. გამოცდილების გაზიარების მიზნით ამ კურსებზე უნდა მოვიწვიოთ ხოლმე უცხოელი სპეციალისტებიც. ერთი სიტყვით, ამ საქმეს სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ.

რამდენიმე თვის წინათ დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში. სინანულით უნდა აღვნიშნოთ, რომ სსრ კავშირის ნაკრებმა დათმო ევროპის თასის გათამაშების დროს მოპოვებული პოზიციები. 1960 წელს ჩვენი გუნდი ევროპის თასის მფლობელი იყო, 1964 წელს II ადგილი დაიკავა, ხოლო 1968 წელს — IV. რეგრესი აშკარაა, მაგრამ მხოლოდ ამ მაჩვენებლით საერთო დასკვნების გამოტანა არ იქნებოდა სწორი. საგანგაშო ისაა, რომ სსრ კავშირის წლევანდელი ნაკრები დამაჯერებელი და სტაბილური თამაშით არ გამოირჩეოდა. ცალკეულ მატჩებში იგი მაღალ კლასს აჩვენებდა, მაგრამ ამავე დროს ძალზე სუსტად ითამაშა უნგრელებთან ბუდაპეშტში და ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე ინგლისის ნაკრებთან შეხვედრაში. რაშია საქმე? ძნელად, რომ ვინმემ დაასახელოს ერთი რომელიმე მიზეზი. ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა საფუძვლიანად ველაპარაკა საერთო მიზეზებზე.

ჩვენი აზრით, ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ ნაკრების საქმიანობა ვერ იყო ორგანიზებული რაციონალურად და გუნდი, ფაქტიურად, მოწყვეტილი აღმოჩნდა საკავშირო ჩემპიონატს. ნაკრებისა და საკლუბო გუნდების ურთიერთობა კონფლიქტამდე მივიდა. ამაზე ჩვენ არაერთხელ გამოგვითქვამს აზრი, მაგრამ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია რატომღაც მეტისმეტად მტკივნეულად განიცდის სამართლიან შენიშვნებს. ახლა ჩვენს შესედულებას იზიარებენ სპეციალისტებიც და თვით ნაკრები გუნდის მოთამაშეებიც, რაზეც მათ საკმაოდ დაუფარავად ილაპარაკეს გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ ა. წ. 14 ივლისს ნომერში. მიმდინარე სეზონის დასაწყისში ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება, რომ არაა საჭირო დიდი ხნით მოწყვეტოთ თავიანთ კლუბებს ნაკრების მოთამაშეები; ზედმეტია ზამთრის ხანგრძლივი მოგზაურობანი უცხოეთის ქვეყნებში; არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს ხშირი შეხვედრები მეორეხარისხოვან კლუბებთან; ნაკრების სავარჯიშო პროცესი არ უნდა იქცეს ახალ ფეხბურთელთა გუთავებელი სინჯვის საფუძვლად. ასეთი შეცდომები ადრეც იყო დაშვებული, ადრეც იყო ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მაშინდელმა საკავშირო სპორტკავშირმა და ფეხბურთის ფედერაციამ არ მიიჩნიეს საჭიროდ ყურად ეღოთ ეს შენიშვნები. ახლა, როცა დაკარგულს უკვე ვეღარ დაიბრუნებ, ამ თემაზე ხმამაღლა ალაპარაკდნენ და ჩვენს მოსაზრებებს მეტი მოზიარე გამოუჩნდა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ მართებულ შენიშვნებს ახლა მაინც გაუწევენ ანგარიშს.

სპორტული პრაქტიკის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თუ კლუბმა შეძლო ისეთი მოთამაშის აღზრდა, რომელიც ღირსია ნაკრების სახელის დაცვისა, მას ისიც შეეძლება, რომ ეს მოთამაშე სრულ მზადყოფნაში ჰყავდეს ყოველნაირი საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის. ვინ იძლევა მოთამაშეებს ნაკრებისთვის? კიევის „დინამო“, ცსკა, მოსკოვის „ტორპედო“, „სპარტაკი“, „დინამო“, თბილისის „დინამო“... ნუთუ საწვრთნელი პროცესი ამ კლუბებში უფრო ცუდადაა ორგანიზებული, ვიდრე ნაკრებში? ყველა ამ კლუბს ჰყავს მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელები — არც ერთი მათგანი არ ჩამოუვარდება ნაკრების მწვრთნელებს. და ამიტომ შეუძლიათ კიდეც მოთამაშე მუდამ სრულ მზადყოფნაში ჰყავდეთ.

(გაგრძელება იქნება)

* * *

გაზეთ „ტრუდის“ სპეციალური პრიზი წლეულს მოიპოვა ორმა ფეხბურთელმა: ტაშკენტის „პახტაკორის“ ფორვარდმა ბ. აბდურაიმოვმა და თბილისელმა გ. გავაშელმა. თვითეული მათგანის ანგარიშზეა 22 გოლი.

სურათზე: გ. გავაშელს მოსკოვის „ტორპედოსთან“ შეხვედრაში გააქვს თავისი 22-ე გოლი.

ფოტო გ. კიკვაძისა (საკდესი).



გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 238.

თბილისის დინამოელთა გამარჯვება

მ. ხურცილავას სამი გოლი

პნომ-პენი, 6 დეკემბერი. დღეს აქ გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში: ერთმანეთს შეხვდნენ კამბოჯის ორგზის ჩემპიონი — ეროვნული ბანკის ნაკრები და თბილისის „დინამო“. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 6:0 (4:0). მასპინძელთა კარში 3 გოლის ავტორია დინამოელთა მცველი მ. ხურცილავა.

კიდევ ერთი შესარჩევი

დუბლინი, 6 დეკემბერი. მსოფლიოს 1970 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის II ევროპულ შესარჩევ ჯგუფში კიდევ ერთი მატჩი გაიმართა: ირლანდიის ნაკრებმა აქ დანიის ეროვნული გუნდი მიიღო. თამაშის შედეგია 1:1, მაგრამ მისი გაპროტესტება ორივე გუნდისგანაა მოსალოდნელი — მატჩი მეორე ტაიმში ძლიერი ნისლის გამო შეწყდა.

მწვრთნელსაც მიუღოცავს...



ხოხუმელი მწვრთნელი აკოფ კერსელიანი და სპორტსმენი ვიქტორ სანეევი ერთმანეთს შემთხვევით გაეცნენ. მაშინ სანეევი კალათბურთით იყო გატაცებული და თავისუფალი დროის დიდ ნაწილსაც სპორტის ამ სახეობაში დოსტატებას უთმობდა. მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში მძლეოსნობის ერთერთ საუკეთესო სპეციალისტს არ გამოპარვია, რომ ვიქტორი მძლეოსნის საუკეთესო თვისებების პატრონი იყო. ამიტომ იგი კალათბურთელთა საქალაქო პირველობის დამთავრების შემდეგ ერთხელ გასახდელში ეწვია სანეევს და მძლეოსნობაში ვარჯიში ურჩია.

შეთანხმდნენ. მწვრთნელმა და აღსაზრდელმა სპრინტით დაიწყეს. მერე ხტომაშიც სცადეს ძალა. მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში სანეევმა ზედიზედ რამდენიმე გამარჯვება მოიპოვა. კერსელიანი კი მისგან უფრო მეტს ელოდა.

ყველა საპასუხისმგებლო ტურნირში სანეევთან ერთად კერსელიანიც „მონაწილეობდა“: საქმიან რჩევას აძლევდა ვიქტორს სტარტის წინ, შესვენებისას, ბრძოლის დამთავრების შემდეგ. კერსელიანი თავის აღსაზრდელს თან ახლდა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზეც, როცა სანეევმა სიგრძეზე ხტომასა და სამხტომში საპრიზო ადგილები დაიკავა. კერსელიანს დიდი წვლილი მიუძღვის, რომ სანეევი წლეულს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა.

ისინი ერთად იყვნენ მეხიკოშიც. მწვრთნელი და აღსაზრდელი ამას წინათ ერთად მიიწვიეს შეხვედრაზე, რომელიც მათ ხოხუმის საზოგადოებრიობამ გორკის სახელობის კულტურის სასახლეში მოუწყო. იმ დღეს საქართველოსა და სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ა. კერსელიანს 50 წელი შეუსრულდა. მისალმების შემდეგ მწვრთნელმა ილაპარაკა სანეევის სპორტულ გზაზე, თავის მუშაობაზე. შეხვედრამ დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

* * *

სურათებზე: ზევით — ოლიმპიური ჩემპიონი ვ. სანეევი მანდარინის გვირგვინით, რომლითაც იგი ხოხუმელებმა შეამკეს; ქვევით — ა. კერსელიანი (მარჯვნივ) და სანეევი მაყურებელთა დარბაზში, კონცერტზე.

ფოტო ვ. სემიონოვისა.

მ. ტალი ქართველ მელიორატორებთან

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „ორგწყალმშენის“ კოლექტივი ამას წინათ შეხვდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონს მ. ტალს. დიდოსტატმა ანალიზი გაუკეთა ვ. ქარსელაძის მემორიალის შედეგებს, ილაპარაკა ნ. ალექსანდრია — ა. ჩაიკოვსკაიას ამასწინანდელ მატჩზე და უპასუხა გულშემატკივართა მრავალ შეკითხვას.

დასასრულს მ. ტალმა გამართა ერთდროული თამაშის სეანსი 10 დაფაზე. დიდოსტატმა 9 პარტია მოიგო და ერთი (გ. შალამბერიძესთან) ყაიმით დაამთავრა.

რ. მენაბდე.

* * *

სურათზე: მ. ტალი „ორგწყალმშენის“ მუშაკებთან ატარებს ერთდროული თამაშის სეანსს.

ფოტო გ. ხვანიძისა.

სასიამოვნო გამონაკლისი

.— მოდით, ვისაუბროთ მოჭადრაკე ქალებზე, — შევთავაზე დიდოსტატ ე. გელერს, როცა მან ვ. ქარსელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ნონა გაფრინდაშვილთან.

— კეთილი, თუმცა ბევრი არაფერი ვიცი მათ შესახებ.

დიდოსტატი ღიმილით ელოდა ჩემს შეკითხვებს...



● რა წარმოდგენისა ხართ ქალთა ჭადრაკზე საერთოდ?

— მათი თამაში არ მესმის. გუნდურ პირველობებში, როგორც იცით, შეერთებული ძალებით ვმონაწილეობთ და მხოლოდ ქალების თამაში მაშინებს. ისინი ვაჟებზე ხშირად ცდებიან.

● ნონას ერთი შეცდომაც არ დაუშვია თქვენთან თამაშის დროს.

— ნონა სასიამოვნო გამონაკლისია. მისი თამაშის მისეული თუ ვიმსჯელებთ ქალთა ჭადრაკზე, რა თქმა უნდა, ვაჟებს არაფერი გვეთქმის. ამ აზრს ყველა დაეთანხმება, ვისაც ნონასთან უთამაშია.

● რამდენჯერ შეხვედრიხართ გაფრინდაშვილს?

— ორჯერ. ამ ზამთარს ერთად ვიყავით გეტებორგში. მოხდა ისე, რომ ჩვენი სტუმრობა შვედების რომელიღაც დღესასწაულს დაემთხვა და სამი დღე თავისუფალი გვქონდა. ეს დღეები ჭადრაკის დაფასთან გავატარეთ მსუბუქი პარტიების თამაშში. ნონა ძალიან ძლიერი მეტოქე აღმოჩნდა. ტურნირშიც დიდი ბრძოლა შემომთავაზა, თუმცა შავებით თამაშობდა. პარტია გადაიდო. ანალიზმა მიჩვენა, რომ პოზიცია საყაიმო იყო, მაგრამ მაინც ვკითხე გაფრინდაშვილს, როგორ აფასებთ პოზიციას-მეთქი. ღიმილით მიპასუხა: მოგების შანსი არა მაქვსო. მაშინ თავად შევთავაზე ყაიმი. მეორედ აქ, გორში შევხვდი. კვლავ შავებით მოუწია თამაში, მაგრამ ეს უპირატესობა, როგორც იცით, მოგებისთვის არ მეყო.

● სხვა მოჭადრაკე ქალებთან თუ გითამაშიათ?

— არა.

● რას იტყვით გაფრინდაშვილ — კუშნირის მომავალი მატჩის თაობაზე?

— მეტოქენი სხვადასხვა ძალით თამაშობენ. კუშნირის ჭირვეულობა მის სისუსტეზე მეტყველებს.

● როგორც იცით, ფიდე-მ ბოლო კონგრესზე ქალთა მსოფლიო პირველობის გათამაშებაში პრეტენდენტთა მატჩები შემოიღო. რამდენად სწორია ეს გადაწყვეტილება?

— ეფექრობ, მცდარია. ყოველ შემთხვევაში, ვაჟთა შეჯიბრების პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ პრეტენდენტთა მატჩებში მოჭადრაკენი თავიანთ ნამდვილ ძალას ვერ ავლენენ. 10-12 პარტიისგან შემდგარ მატჩებში დიდია შემთხვევითობის ელემენტი. მატჩების შემოღებას სჯობდა პრეტენდენტთა ორწრიანი ტურნირი ექვსი ქალის მონაწილეობით.

● რას იტყვით ქალთა ჭადრაკის პერსპექტივებზე?

— ნონა გაფრინდაშვილის მაგალითი მეტყველებს, რომ ქალებს შეუძლიათ ძლიერი თამაში. მართალია, მსოფლიო ჩემპიონს ჯერ ვერავინ შეედრება, მაგრამ ბოლო წლებში მოჭადრაკე ქალთა ოსტატობის დონე საგრძნობლად ამაღლდა. ახლა ისინი ბევრად უკეთ თამაშობენ, ვიდრე ვერა მენჩიკის დროს. ამიტომ პერსპექტივებიც საიმედოა, მაგრამ ვაჟებს ჯერ საშიშროება არ გვემუქრება. მარტო ნონა ბევრს ვერაფერს დაგვაკლებს, თუმცა ხშირად უსერხულ მდგომარეობაში გვაყენებს.

თ. გიორგაძე.

„ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲞᲐᲠᲘᲖᲔᲖᲔ“

რაიონის ნორჩი მოჭადრაკეები აქტიურად ჩაებნენ „ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონთა პრიზის“ გათამაშებაში, რომელსაც სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაცია ატარებს. მეორე ეტაპის შეჯიბრებაში თავი ისახელეს კასპის სკოლა-ინტერნატის მოჭადრაკეებმა, რომლებმაც I ადგილი დიკავეს. II ადგილი ხვდა მე-2 საშუალო სკოლის გუნდს, III — ლამისყანის საშუალო სკოლის მოჭადრაკეებს. კასპის სკოლა-ინტერნატის გუნდი განაგრძობს შეჯიბრებას მესამე ეტაპშიც — რესპუბლიკის პიონერული რაზმეულების პირველობაში.

ლ. ელისაბედაშვილი.

კასპი.

უგვეულო საჭადრაკო მატჩი

საქართველოსა და უკრაინის რესპუბლიკური გაზეთების „ზარია ვოსტოკასა“ და „პრავდა უკრაინის“ რედაქციებმა უჩვეულო საჭადრაკო მატჩი დაიწყეს.

პარტიას თამაშობენ მკითხველები, რომელთა რიცხვი განუსაზღვრელია. ისინი რედაქციას სთავაზობენ თავიანთ სვლას. რომელ სვლასაც მეტი მომხრე ეყოლება, პარტიაშიც იგი გაკეთდება (ყვირაში თითო სვლა).

როცა თამაში ენდშპილში გადავა, თვითეული გუნდის ხუთ წარმომადგენელს მიიწვევენ რედაქციაში, სადაც ისინი დასწრებულად დაამთავრებენ პარტიას.

პარტიის მსვლელობას გაზეთები გაუშუქებენ თავიანთ ფურცლებზე.

მატჩის ეიურის თავკაცობენ მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი და დიდოსტატი ლ. შტეინი.

„ᲪᲘᲪᲘᲜᲐᲗᲔᲚᲐᲡ“ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

დიდი სიყვარულით სარგებლობს ბათუმის ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის ნორჩ მოჭადრაკეთა კლუბი „ციცინათელა“. კლუბში 70-მდე ბავშვია გაერთიანებული, მათ შორის, პირველთანრიგოსანი მოჭადრაკეები ნონა გიორგაძე და თ. ბერიძე.

„ციცინათელას“, რომელსაც აჭარის მრავალგზის ჩემპიონი, ოსტატობის კანდიდატი დ. ჭანტურია ხელმძღვანელობს, მჭიდრო მეგობრობა აქვს თბილისს, ქუთაისს, სამტრედიის, ქობულეთის, ცხაკაიას ნორჩ მოჭადრაკეთა წრეებთან. მეგობრები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს ამხანაგურ შეჯიბრებებში.

ამ დღეებში „ციცინათელას“ ცხაკაიელი მეგობრები ეწვევნენ. მეგობრულ შეხვედრას მოჰყვა მატჩი 15 დაფაზე. გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

შ. მახარაძე;

ბათუმის პიონერთა პარკის დირექტორის მოადგილე.

„ᲐᲤᲢᲝᲜᲑᲚᲐᲓᲔᲢᲘᲡ“ ᲐᲗᲔᲣᲚᲘ

პოპულარული შვედური გაზეთის „აფტონბლადეტის“ ყოველწლიურ ანკეტაში მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენთა ათეული ასე გამოიყურება: უ.-კ. კილი (სამთო-სათხილამურო სპორტი, საფრანგეთი), ა. ორტერი (მძლეოსნობა, აშშ), რ. ბიმონი (მძლეოსნობა, აშშ), დ. ჰემერი (მძლეოსნობა, დიდი ბრიტანეთი), დ. მაიერი (ცურვა, აშშ), ვ. ჩასლავსკა (ტანვარჯიში, ჩეხოსლოვაკია), ბ.-უ. კინგი (ჩოგბურთი, აშშ), კ. მონტი (ბობსლეი, იტალია), გ. ჰოლი (ავტორბოლა, დიდი ბრიტანეთი), ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი (ფიგურული ციგურაობა, სსრ კავშირი).

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04349

რედაქტორი მ. ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ.